შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N35030308/17/24/დ-1

2017 წლის 1 ნოემბრის N35030308/17/24/დ ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ

ქ. თბილისი 30.03.2018 წელი

ერთი მხრივ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, თამაზ მოდებაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნუგზარ ჯანჯღავას სახით (შემგომში წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებებისათვის სპეცდაფინანსების დამატების ან სამედიცინო მომსახურების გამწევი სხვა დაწესებულებებისათვის/ფიზიკური პირებისათვის სპეცდაფინანსების საჭიროების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 22 იანვრის N01–15/ო ბრძანების (ასევე, მასში შეტანილი ცვლილებების) მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიმწოდებლის“2017 წლის 30 ოქტომბრის N13/801 და 2018 წლის 23 მარტის N13/198 წერილების საფუძველზე, მხარეთა შორის 2017 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული N35030308/17/24/დ ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) მე-8 მუხლის გათვალისწინებით, ვთანხმდებით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაზე და ამ მიზნით:

1. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 151 794.72 (ას ორმოცდათერთმეტი ათას შვიდას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 72 თეთრი) ლარს“.

2. ხელშეკრულების N1 დანართი შეიცვალოს წინამდებარე შეთანხმების დანართით.

3. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელთაც არ შეხებია შეთანხმება, უცვლელი რჩება.

4. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. შეთანხმება მოქმედებს მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

7. შეთანხმების ორი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან”, ხოლო ორი _ „შემსყიდველთან“.

8. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144, საიდენტიფიკაციო კოდი №202178927	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ მისამართი: ქ.თბილისი, ჯავახიშვილის №51 ს/ს ლიბერთი ბანკი, ს/კ№236035517 ა/ა №GE86LB0113112241617000
თამაზ მოდებაძე დირექტორის მოადგილე	ნუგზარ ჯანჯღავა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

კ. ჩხარტიშვილი

მ. ნასყიდაშვილი

ზ. დათუკიშვილი

ა. ვასაძე

დანართი N1

N	მუნიციპალიტეტი	თანხა (ლარი)
1	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი – თიანეთი	17794.72
2	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი – ამბროლაური	22500
3	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი – ცაგერი	21500
4	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი – ბაკურიანი	6000
5	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი – წალკა	24000
6	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი – თეთრიწყარო	23000
7	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი – ონი	16000
8	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი – ყაზბეგი	9000
9	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი – გუდაური	12000
	ჯამი	151794.72

„შემსყიდველი“

თამაზ მოდებაძე,
დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“

ნუგზარ ჯანჯღავა
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი